

საგარანტიო პირობები ფიზიკური პირებისთვის

“მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული მომხმარებლის უფლებებია:

1. თუ ნივთს ნაკლი აღმოაჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის (თავდაპირველი ნაკლი) აღმოფხვრა (ნივთის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.
2. ნივთის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნივთის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.
3. ნივთი შეკეთებული ან შეცვლილი უნდა იქნეს გონივრულ ვადაში, ისე, რომ მომხმარებელს არ შეექმნას შეფერხება ნივთის ბუნებისა და იმ მიზნის გათვალისწინებით, რისთვისაც მან ის შეიძინა.
4. ნივთის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს მოვაჭრის მიერ ყველა ხარჯის (მათ შორის, ფოსტის, სამუშაო ძალისა და მასალების ხარჯების) გაწევას, რომლებიც საჭიროა ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
5. მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს ნივთის ფასის შემცირება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:
 - ა) ნივთის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია.
 - ბ) მოვაჭრემ ნივთი გონივრულ ვადაში არ შეაკეთა ან არ შეცვალა და მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა.
 - გ) მოვაჭრის მიერ ნივთის შეკეთება ან შეცვლა მომხმარებელს მნიშვნელოვან შეფერხებას შეუქმნის.
6. მომხმარებელს უფლება აქვს, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. მომხმარებელს არა აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ ნივთის ნაკლი უმნიშვნელოა.
8. იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად არათანაზომიერია ან შეუსაბამოდ დიდია ხარჯი, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი პირობები:
 - ა) ნივთის ან მომსახურების ფასი, მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში.
 - ბ) ნივთის ან მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამობის ხარისხი.
 - გ) ნივთის ნაკლთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრის ალტერნატიული შესაძლებლობა, მომხმარებლისთვის შეფერხების შექმნის გარეშე.

მომხმარებელს უფლება აქვს, ისარგებლოს ზემოთ მოცემული უფლებებით თუ ნივთის ნაკლი საქონლის მისთვის გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში აღმოჩნდა.

“მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული მტკიცების ტვირთი:

თუ მომხმარებელმა ნივთის ნაკლი, ნივთის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა ნივთის მიწოდებისას (თუ ნივთის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია), მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა ნივთის ნაკლი, ნივთის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა ნივთის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

გამყიდველი/მოვაჭრე ვალდებულია, შეაკეთოს ან შეცვალოს დაზიანებული ტექნიკა იმ შემთხვევაში, თუ შესაკეთებელი დეტალი ან ნივთი ადგილზეა, სერვისცენტრში ნივთის მიღების მომენტიდან, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო თუ საჭიროა ნივთის/შესაკეთებელი დეტალის უცხოეთიდან გამოწერა, სერვისცენტრში ნივთის მიღების მომენტიდან, არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის განმავლობაში (გარდა შაბათ-კვირისა და ოფიციალური დასვენების დღეებისა).

ზოგადი მითითებები

! შემდგომი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ პუნქტებს სახელწოდებით: „საგარანტიო პირობების გამოწვევები“ და „საგარანტიო მომსახურება არ ვრცელდება ან უქმდება შემდეგ შემთხვევებში:“.

! მომხმარებელი ვალდებულია ნივთის მიღებისთანავე შეამოწმოს მისი ვიზუალური მდგომარეობა, კომპლექტაცია და ყველა ის მახასიათებელი, რომლის შემოწმებაც შესაძლებელია მიღების მომენტში. ნივთის მიღების შემდეგ არ მიიღება პრეტენზია ისეთ ვიზუალურ დეფექტზე, დაზიანებაზე ან კომპლექტაციის ნაკლებობაზე, რომლის გამოვლენაც შესაძლებელი იყო ნივთის მიღებისას მისი ჩვეულებრივი დათვალიერებით. მომხმარებელი უფლებამოსილია უარი თქვას ნივთის მიღებაზე, თუ გადაცემის მომენტში აღმოაჩენს ვიზუალურ დეფექტს ან სხვა აშკარა ნაკლს.

! იმ საქონლის/ნივთის ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც მიეკუთვნება აქსესუარებს, დამცავ ფირებს, შესაფუთებს (ქეისებს) ან/და რომლის მასალაზეც (ტყავი, ტყავისებრი მასალა, წებო, სილიკონი, პლასტიკი, რეზინა, ქსოვილი, ქაღალდი და სხვა) ხორციელდება ინტენსიური ან ხშირი ფიზიკური ზემოქმედება (მაგ: ყოველდღიური შეხება, უწყვეტი კონტაქტი სხეულის ბუნებრივ ცხიმთან 5 წუთზე მეტი ხანგრძლივობით, კონტაქტი კოსმეტიკურ ან სადეზინფექციო/საწმენდ საშუალებებთან), ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი მასალის თვისობრივი ცვლილებები (მათ შორის: ფერის ცვლილება, ელასტიურობის დაკარგვა, ზედაპირის დათხელება, დეფორმაცია, დაფხაჭნა ან მდგრადობის რღვევა) წარმოადგენს ნივთისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ ცვლას და არ განეკუთვნება თავდაპირველ ნაკლს, იმ პირობით რომ ნაწილებში ან სამუშაოში არ არსებობდა თავდაპირველი დეფექტი.

! მოწყობილობის ისეთი სახარჯი მასალებისა და აქსესუარების დაბლაგვება, ცვეთა ან რესურსის ამოწურვა, რომელთა მდგომარეობა დამოკიდებულია ექსპლუატაციის ინტენსივობაზე (მათ შორის: საპარსი მოწყობილობის პირები/ბადეები/ფილტრები, ეპილატორის თავაკები, კბილის ჯაგრისის საცვლეელი თავები და სხვა მსგავსი კომპონენტები)

წარმოადგენს ნივთის ნორმალური ცვეთის შედეგს და არ მიეკუთვნება მოწყობილობის თავდაპირველი ნაკლის კატეგორიას, იმ პირობით რომ ნაწილებში ან სამუშაოში არ არსებობდა თავდაპირველი დეფექტი.

! გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი მოწყობილობის კამერა/ლინზა შესაძლებელია დაზიანდეს ინტენსიური სინათლის წყაროს, მათ შორის პირდაპირი მზის სხივის, ლაზერის ან სხვა სახის გამოსხივების ზემოქმედებით, აღნიშნული დაზიანება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოწყობილობა გამორთულია, შესაბამისად, გთხოვთ მოარიდეთ მოწყობილობა ამ სახის გამოსხივებას, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს თავდაპირველ ნაკლს.

! მოწყობილობის წყალგაუმტარობის მიუხედავად, ნებისმიერი მოწყობილობის მდგრადობა შესაძლოა დაირღვეს და მოწყობილობა გამოვიდეს მწყობრიდან მისი წყალში მოთავსების შემთხვევაში, გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ მოწყობილობის ამ მიზეზით დაზიანება არ წარმოადგენს თავდაპირველ ნაკლს.

! ნებისმიერი მოწყობილობის ელემენტის მოცულობის კლება არ განიხილება თავდაპირველ ნაკლად და წარმოადგენს მოწყობილობის ბუნებრივი ცვეთის შედეგს, იმ პირობით რომ ნაწილებში ან სამუშაოში არ არსებობდა თავდაპირველი დეფექტი.

საგარანტიო პირობების გამოწვევები:

თუ ნივთი გამოიყენებოდა არა პირადი, არამედ კომერციული მიზნებისთვის;
გარანტია არ ვრცელდება სახარჯ მასალებზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე, აპლიკაციებსა და იმ სახის დაზიანებაზე, რომელიც არ არის განპირობებული მოწყობილობის თავდაპირველი ტექნიკური წუნით/ხარვეზით;

Apple iPhone 17 Pro-სა და iPhone 17 Pro Max-ის ნარინჯისფერი ფერის მოდელებთან მიმართებით დაფიქსირებულია ფერის არამდგრადობის შემთხვევები, რაც განპირობებულია მოწყობილობის ზედაპირის სპეციფიკური ფერით. მოწყობილობის შეძენისას გთხოვთ გადაწყვეტილება მიიღოთ მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, ვინაიდან, შემდგომში მოწყობილობის კორპუსის/საფარის ფერის ცვლილება არ მიიჩნევა თავდაპირველ ნაკლად.

საგარანტიო პირობები:

ნივთის შეკეთება ხდება ბრენდის ოფიციალურ სერვის-ცენტრში/სერვისის პუნქტში;
სერვის-ცენტრში/სერვისის პუნქტში საგარანტიო მომსახურების მისაღებად უნდა წარადგინოთ ინვოისი, საგარანტიო ტალონი, გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ასევე მწარმოებლის საგარანტიო ტალონი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ინვოისში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული ნივთის დასახელება, კოდი, მყიდველის ვინაობა, შეძენის თარიღი, წინააღმდეგ შემთხვევაში ნივთს საგარანტიო მომსახურება არ შეეხება;

გაბარიტული ტექნიკის: იგულისხმება მაცივარი, გაზქურა, სარეცხი მანქანა, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, გამათბობელი, კონდიციონერი, ჩასაშენებელი ზედაპირი, ღუმელი (არა მიკრო ტალღური), გამწოვი, ტელევიზორი, რომლის დიაგონალიც არის არანაკლებ 43"

მომხმარებელმა გამოძახების გასაფორმებლად და ინსტრუქციების მისაღებად უნდა დარეკოს ტექპოინტს/სერვისის პუნქტს ცხელ ხაზზე: (+995) 32 2422215;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სერვის-ცენტრის/სერვისის პუნქტის წარმომადგენლის უსაფუძვლოდ ან საგარანტიო პირობებთან შეუსაბამოდ გამოძახება (მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ ხარვეზი არ დადასტურდა) ფასიანია და აღნიშნული სერვისის ხარჯი დაეკისრება მომხმარებელს;

სერვის-ცენტრი/სერვისის პუნქტი ვალდებულია, შეაკეთოს დაზიანებული ტექნიკა საგარანტიო პირობების გათვალისწინებით, სერვის-ცენტრში/სერვისის პუნქტში ნივთის მიღების მომენტიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში (არ შედის შაბათ-კვირა და ოფიციალური დასვენების დღეები). იმ შემთხვევაში, თუ ნივთის შეკეთება ვერ მოხერხდა, მომხმარებელს დაუბრუნდება გადახდილი თანხა.

კანონისმიერი გარანტია არ ვრცელდება მეწარმე/იურიდიულ პირებზე

საგარანტიო მომსახურება არ ვრცელდება ან უქმდება შემდეგ შემთხვევებში:

გასულია საგარანტიო ვადა;

საგარანტიო ტალონი არ არის წარმოდგენილი;

საგარანტიო ტალონში მონაცემები შეცვლილია, წაშლილია ან გადაკეთებულია;

საგარანტიო ტალონში და მოწყობილობის კორპუსზე არ იკითხება ან ამძვრალია სერიული/ნომერი, IMEI კოდი;

ნივთს აღენიშნება ვიზუალური ან მექანიკური დაზიანება/დეფექტი, რამაც გამოიწვია ნივთის მწყობრიდან გამოსვლა ან რასაც უკავშირდება მომხმარებლის პრეტენზია;

ნივთი გამოიყენებოდა მისი დანიშნულების შეუსაბამო მიზნ(ებ)ით, არასაყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის;

დაზიანებულია ან ამძვრალია პლომბი ან ლუქი;

დარღვეულია მეწარმეების ან მოვაჭრის მიერ ნივთზე თანდართული მათ შორის ვებ-გვერდზე (www.orcaglobal.ge) განთავსებული (ასეთის არსებობისას) მოწყობილობის/ნივთის შენახვისა და მოხმარების წესი;

დაზიანება გამოწვეულია კომპიუტერული ვირუსის ან შეუსაბამო ფაილ(ებ)ის მიერ;

დაზიანება გამოწვეულია ელ. ქსელის გაუმართაობით (ძაბვის ცვლილება მეტია ან ნაკლებია 220-230 ვოლტზე), მექანიზმის დანესტიანებით, გარე/უცხო სხეულის/წარმონაქმნის შეღწევით, კოროზიით, მაღალი ან დაბალი ტემპერატურის ზემოქმედებით, ექსპლუატაციის და შენახვის წესების/პირობების დარღვევით, ჩატარებული არაკვალიფიკაციური სარემონტო/სამონტაჟო სამუშაოების შედეგად;

გარანტია არ ვრცელდება სისტემური ბლოკის კვების ბლოკზე, ხუთ ცალამდე ჩამქრალ პიქსელზე;

ტექნიკის წუნზე, რომელზეც გამოწვეულია ნივთის გაუწმენდაობით;

ტექნიკის წუნზე, რომელიც გამოწვეულია სითხის და სინესტის ზემოქმედებით;

გარანტია არ ვრცელდება სმარტფონების შეცვლილ (ე.წ. „დარუთულ“) სისტემასა და არალიცენზირებული პროგრამების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ტექნიკის არასტაბილურ მუშაობაზე;

ტექნიკაზე, რომელზეც სამონტაჟო ან საგარანტიო სამუშაოები არ არის შესრულებული უფლებამოსილი სერვის-ცენტრის/სერვისის პუნქტის სპეციალისტის მიერ;

ტექნიკის წუნზე, რომელზეც გამოწვეულია, არაორიგინალი ადაპტერის ან სადენის გამოყენებით, მათ შორის ნივთის დამაგრძელებელზე მიერთებით;

ტექნიკის წუნზე, რომელიც გამოწვეულია საყოფაცხოვრებო ტექნიკის საცხოვრებელი სივრცის გარეთ გამოყენებით (თუ მოწყობილობას არ გააჩნია მითითება გარე სივრცეში გამოყენების დასაშვებობის შესახებ).

გარანტია არ ვრცელდება მეწარმე/იურიდიულ პირებზე

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

ეკრანის დამცავი არ იცავს ტელეფონის/პლანშეტის ეკრანს გატეხვისგან, ის მხოლოდ ამცირებს დაზიანების ალბათობას. ტელეფონის/პლანშეტის ეკრანი შეიძლება გატყდეს, მაშინაც კი, თუ მას ეკრანის დამცავი აქვს. ეკრანის დამცავი ამცირებს დაზიანების შანსს, მაგრამ ის არ იძლევა 100%-იან დაცვას ძლიერი დაცემისგან, წერტილოვანი დარტყმისგან, ბასრი საგნის ზემოქმედებისგან ან ტელეფონის კუთხით დაცემისგან.

დამატებითი დებულებები:

1. მისამართზე სერვისცენტრის გამოძახება შესაძლოა მოხდეს გაბარიტულ ტექნიკასთან მიმართებით (მაცივარი, გაზქურა, სარეცხი მანქანა, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, გამათბობელი, კონდიციონერი, ჩასაშენებელი ზედაპირი, ღუმელი [არა მიკროტალღური], გამწოვი, ტელევიზორი 43"-დან ზემოთ), ამასთანავე სერვისის ცრუ გამოძახება ფასიანია და ანაზღაურდება მომხმარებლის მიერ.
2. სპეციფიკაციაში მითითებული დაზიანების საწინააღმდეგო პირობები ამცირებს, მაგრამ არ გამორიცხავს ამ დაზიანების მიღების ალბათობას. მომხმარებელი ვალდებულია, დაიცვას შეძენილი ნივთი მექანიკური, თერმული და ჰიდრო დაზიანებისგან.
3. იმ შემთხვევებში, თუ მომხმარებელი, სერვისის მოთხოვნის შემთხვევაში არ გადასცემს ნივთს შესამოწმებლად ან უარს იტყვის დიაგნოსტიკის მიზნით ნივთის გახსნაზე, საგარანტიო მომსახურებით ვერ ისარგებლებს.
4. კანონისმიერი გარანტია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე.

სერვისის მისაღებად მიმართეთ შემდეგ პუნქტებს/სერვის-ცენტრებს მითითებულ მისამართებზე

Techpoint - თბილისი, სულხან ცინცაძის #5

Samsung-ის ბრენდის შემთხვევაში მომხმარებელი ნებისმიერ დროს უნდა დაუკავშირდეს სამსუნიგის ცხელ ხაზს - 0 800 55 55 55; ცხელი ხაზის სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი: 09:00-18:00; შაბათ-კვირა: დასვენების დღე.

Apple-ს ოფიციალური სერვისის მისამართი: აისაფორთი, თბილისი, ს. ცინცაძის ქ.#12 (+995) 32 230 10 01;

სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი: 10:00-19:00, შაბ: 10:00-15:00, კვირა: დასვენების დღე.

LG-ის ოფიციალური სერვისის მისამართი თბილისში: ქ.თბილისი, ა.წერეთლის #116, ტელ: 0322 000 333, თბილისის სერვისის სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი 10:00-19:00, შაბათ-კვირა: დასვენების დღე.

LG-ის ოფიციალური სერვისის მისამართი ქუთაისში: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. # 10 (ტექპოინტი ქუთაისი), სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი: 10:00-19:00, შაბ: 10:00-15:00, კვირა: დასვენების დღე.

ელექტროლუქსი და AEG -ს ბრენდის შემთხვევაში, მომხმარებელი ნებისმიერ დროს უნდა დაუკავშირდეს ბრენდის ცხელ ხაზს ნომერზე +995 800 000 828. ცხელი ხაზის სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი: 10:00-18:00 სთ, შაბათ-კვირა: დასვენების დღე.

საგარანტიო პირობები მეწარმე/იურიდიული პირებისთვის

ქვემოთ მოცემული საგარანტიო პირობები ვრცელდება მეწარმე/იურიდიულ პირებზე, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებზე.

ორკა გლობალ-ში შემენილ ნივთს (გარდა „საგარანტიო პირობები არ ვრცელდება“ პუნქტისა) აქვს გარანტია 1 წლამდე, თუ გამყიდველსა და მყიდველს შორის არ არის შეთანხმებული სხვა პირობები, რომლებიც აისახება საგარანტიო ტალონის/ბარათის პირველ გვერდზე.

მოწყობილობების ბატარეების/ელემენტებისა და დამტენების საგარანტიო ვადა შეადგენს საგარანტიო ბარათზე მითითებული ვადის ნახევარს.

ტექნიკაზე, რომელიც გამოიყენება პირდაპირი სამეწარმეო საქმიანობისთვის, კერძოდ, მოწყობილობის დატვირთვა სცდება მისი ფიზიკური პირის მიერ გამოყენების ფარგლებს, საგარანტიო ვადა შეადგენს არაუმეტეს 2 (ორი) თვეს. პირობების დაზუსტება შესაძლებელია “ტექპოინტის” ცხელ ხაზზე დაკავშირებით ან მისამართზე.

საგარანტიო მომსახურება მოიცავს ოფიციალური ბრენდის მიერ დადგენილ პირობებს და ითვალისწინებს ნივთის უფასო შეკეთებას, საგარანტიო პერიოდში. საგარანტიო მომსახურება ხორციელდება ტექპოინტის სერვისცენტრში, საგარანტიო ტალონში მითითებულ მისამართზე.

გარანტია ვრცელდება ტექნიკის იმ ტიპის დაზიანებაზე, რომელიც განპირობებულია ტექნიკური წუნით (არა პროგრამული). სერვისცენტრში, საგარანტიო მომსახურების მისაღებად, უნდა წარმოადგინოთ საგარანტიო ტალონი, გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან და მწარმოებლის საგარანტიო ტალონთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საგარანტიო ტალონში მითითებული უნდა იყოს:

- ნივთის დასახელება;
- სერიული/IMEI კოდი;
- მყიდველის ვინაობა;
- შემენის თარიღი;
- გამყიდველი კომპანიის ბეჭედი;
- პასუხისმგებელი თანამშრომლისა და მყიდველის ხელმოწერები.

წინააღმდეგ შემთხვევაში, პროდუქტს საგარანტიო მომსახურება არ შეეხება.

სერვისცენტრში პროდუქციის დიაგნოსტიკის პერიოდია 1-7 სამუშაო დღე. ტექნიკური წუნის დადასტურების შემთხვევაში, სერვისი ვალდებულია, შეაკეთოს, ან თუ შეკეთება შეუძლებელია, შეცვალოს ნივთი ახლით, 30 სამუშაო დღის განმავლობაში.

გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ იცვლება მხოლოდ დეფექტური ნივთი და არა სრული კომპლექტაცია.

ტრანსპორტირების პირობები

დაზიანებული ტექნიკის ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას, სერვისცენტრამდე და უკან, უზრუნველყოფს მომხმარებელი, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი გაბარიტული ტექნიკისა, რომელთა ტრანსპორტირების ხარჯებს ანაზღაურებს კომპანია.

- მაცივარი;
- გაზქურა;
- სარეცხი მანქანა;
- ჭურჭლის სარეცხი მანქანა;
- გამათბობელი;
- კონდიციონერი;
- ჩასაშენებელი ზედაპირი;
- ღუმელი (არა მიკროტალღური);
- გამწოვი;
- ტელევიზორი (43“ და ზემოთ).

სერვისცენტრის ცრუ გამოძახება ფასიანია და ანაზღაურდება მომხმარებლის მიერ.

საგარანტიო პირობები არ ვრცელდება:

- ოპერაციული სისტემის, პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერ დაზიანებაზე;
- ტექნიკაზე, რომელიც ფიზიკურად არის დაზიანებული, მაგალითად, გაკაწრული, გაბზარული, ჩაწყლელი, დამწვარი, დამდნარი, დეფორმირებული, გატეხილი. ასევე, სითხით გამოწვეულ დაზიანებებზე, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ მოდელის სპეციფიკაციაში მითითებულია დაზიანების საწინააღმდეგო ფუნქციის არსებობა;
- თუ პროდუქციის ქარხნული სერიული ნომერი შეცვლილია, წაშლილია ან დაზიანებულია. დარღვეულია პროდუქციის ექსპლუატაციის წესები (ექსპლუატაციის წესები იხილეთ პროდუქციის თანდართულ დოკუმენტაციაში ან მწარმოებლის ვებგვერდზე);
- თუ დარღვეულია პროდუქციის გამოყენების წესები, სერვისცენტრი არ არის ვალდებული ნივთს ჩაუტაროს დიაგნოსტიკა;
- ეკრანის განსაზღვრული რაოდენობის მკვდარ წერტილებზე;
- ტექნიკაზე, რომელიც არასტანდარტული ქსელის ძაბვის ზემოქმედების შედეგად არის დაზიანებული;
- ტექნიკაზე, რომელზეც სამონტაჟო ან საგარანტიო სამუშაოები არ არის შესრულებული, უფლებამოსილი სერვისცენტრის სპეციალისტის მიერ;
- არაკვალიფიციური ან დაუდევრად გამოყენებული ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში;
- მონიტორის, ნოუტბუქის, ფოტოაპარატის ან ტელეფონის ეკრანის განსაზღვრული რაოდენობის მკვდარ წერტილებზე (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტექნიკასთან დართულ დოკუმენტაციაში ან მწარმოებლის ვებგვერდზე).

კომპანია არ აგებს პასუხს სმარტფონების დართულ სისტემასა და კომპიუტერის არალიცენზირებული პროგრამების გამოყენებისას, ტექნიკის არასტაბილურ მუშაობაზე.

სპეციფიკაციაში მითითებული დაზიანების საწინააღმდეგო ფუნქცია ამცირებს, მაგრამ არ გამოირიცხავს ამ დაზიანების მიღების ალბათობას. მომხმარებელი ვალდებულია, დაიცვას შემენილი ნივთი მექანიკური, თერმული და ჰიდრო დაზიანებისგან.

საგარანტიო პირობები არ ვრცელდება შემდეგ აქსესუარებსა და სახარჯ მასალებზე:

- მობილური ტელეფონის ყურსასმენი, USB კაბელი, დამტენი;
- პლანშეტის ყურსასმენი, USB კაბელი, დამტენი;
- პრინტერის კაბელები, კარტრიჯები;
- ტელევიზორის პულტი, დენის კაბელი, სათვალეები;
- მაცივრის ჰაერის გამასუფთავებელი (იონიზატორი), სათავსოები, თაროები, წყლის დისპენსერი, რეზინები, სახელოურები, ნათურები, დენის სადენი;
- სარეცხი მანქანის შემავალი და გამავალი მილები, ფხვნილის უჯრა, დენის სადენი, საკეტი, კარის რეზინი;
- მიკროტალღური ღუმელის თეფში, ნათურა, გრილი, სადგამი, ცხაური, ფილტრი, დენის სადენი;
- გაზქურის/ელ. ღუმელის ზედაპირის სადგამი, სახელოური, კონფორი, რეზინი, დენის სადენი, ჩამრთველი, თვითწმენდის ფილტრი;
- გამწოვის ფილტრი, ნათურა, დენის სადენი;
- მტვერსასრუტის მილი, ჯაგრისი, ფილტრი, კონტეინერი, ელექტროსადენი.

სერვისცენტრი ვალდებულია:

1. შეაკეთოს დაზიანებული ტექნიკა, საგარანტიო ტალონში მითითებული პირობების შესაბამისად.
2. შეაკეთოს დაზიანებული ტექნიკა, სერვისცენტრში მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში, გარდა შაბათ-კვირისა და ოფიციალური დასვენების დღეებისა.

თუ ნივთი 30 დღის განმავლობაში ვერ შეკეთდა:

1. პროდუქტი ექვემდებარება შეცვლას, იგივე მოდელით (იცვლება მხოლოდ დეფექტური ნივთი და არა სრული კომპლექტაცია, მაგალითად, აქსესუარები ან სახარჯი მასალები).
2. თუ იგივე მოდელი აღარ არის ხელმისაწვდომი, პროდუქტი შეიცვლება იდენტური სპეციფიკაციების მქონე სხვა მოდელით.

თანხის დაბრუნების წესი

თანხის დაბრუნება განიხილება მხოლოდ, როგორც ბოლო რიგის მოთხოვნა.

სერვისცენტრის მისამართი:

თბილისი, სულხან ცინცაძის #5